საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/99
07.02.2024

ბრძანება

99-01-4-202402071053

მოვაჭრე შპს „ჰოუმჯინის“ მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-12 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 24 ნოემბრის №04/859 ბრძანებით, შპს „ჰოუმჯინის“ (ს/ნ 405259401) მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა დასრულდეს მოვაჭრის მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე მოვაჭრესა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით.
2. შპს „ჰოუმჯინს“ დაევალოს, პირობითი ვალდებულების თაობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში შეასრულოს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.
3. ეს ბრძანება, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე გაფორმებულ შეთანხმებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საფუძველი: შპს „ჰოუმჯინის“ მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და მოვაჭრე - შპს „ჰოუმჯინს“ შორის გაფორმებული 2024 წლის 5 თებერვლის შეთანხმება.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

შეთანხმება შპს „ჰოუმჯინის“ მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე

ქ. თბილისი **5 თებერვალი, 2023 წელი**

ერთი მხრივ შპს „ჰოუმჯინი“ (ს/ნ 405259401) იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ. N95, ბინა N28. (შემდგომში - მოვაჭრე) წარმოდგენილი დირექტორის, სოსო ჩხიკვაძის სახით (პ/ნ 01024067925) და მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (ს/ნ 205310938) (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-12 მუხლის, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. მომსახურების მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1.1.1. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლების საფუძველზე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს, მის პლატფორმაზე რეგისტრირებულმა მოვაჭრემ შეიმუშავოს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა ქართულ ენაზე, მკაფიოდ, გასაგებად და სრულად და იგი განათავსოს სავაჭრო ვებ-გვერდზე (Profy.ge | პროფესიონალი ხელოსანი და დამლაგებელი) და აპლიკაციაში (შემდგომ - ვებ-გვერდი/აპლიკაცია) და არსებობის შემთხვევაში, სხვა ნებისმიერ ონლაინ პლატფორმაზე, რომლითაც მოვაჭრე მომსახურების გამწევი ახორციელებს კომერციულ საქმიანობას. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მომსახურების დასახელებას და არსებით მახასიათებლებს;
ბ) მოვაჭრის ვინაობას (სახელწოდება) და მისამართს (იურიდიული მისამართი); არსებობის შემთხვევაში მოვაჭრის ფაქტობრივ მისამართს, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან. მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის ნომრებს, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია;

დ) მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით;
ე) არსებობის შემთხვევაში გადახდის, მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;
ვ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობებს, ვადასა და წესს;
ზ) იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, თუ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლებელია;ი) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ.

1.1.2. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს ვებ-გვერდსა და აპლიკაციაში განთავსებულ საქონელზე ან მომსახურებაზე გასაყიდი ფასისა და ერთეულის ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ერთეულის ფასის მითითება აუცილებელი არ არის, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია. რეკლამაში, რომელშიც მითითებულია გასაყიდი ფასი, უნდა მიეთითოს აგრეთვე ერთეულის ფასი.

1.1.3. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, მომსახურების გაწევამ უნდა უზრუნველყოს, რომ განხორციელდეს მომხმარებლის სრულყოფილი ინფორმირება დისტანციური ხელშეკრულების დადების დროს. კერძოდ:

ა) დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში მოვაჭრემ ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიაწოდოს დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, მკაფიოდ და გასაგებად.

ბ) თუ დისტანციური ხელშეკრულება ელექტრონული საშუალების გამოყენებით იდება, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელს მომსახურების შეკვეთისას ერთმნიშვნელოვნად ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ შეკვეთის განთავსება მომხმარებლისთვის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს. თუ მოვაჭრემ ამ პირობის შესრულება არ უზრუნველყო, მომხმარებელს გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა.

გ) ვებგვერდზე არაუგვიანეს მომსახურების შეკვეთის პროცესის დაწყებისა, მკაფიო და გასაგები ფორმით უნდა იყოს განთავსებული ინფორმაცია მის მიწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ (მათი არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ინფორმაცია გადახდის საშუალების თაობაზე.

დ) მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს დისტანციური ხელშეკრულების დადება დაუდასტუროს ხანგამძლე მატარებელზე, ხელშეკრულების დადების შემდეგ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საქონლის მიწოდების დაწყებისა.

1.1.5. კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოვაჭრემ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საგარანტიო პირობები, მათ შორის, კომერციული გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხანგრძლივობა და მოქმედების ტერიტორია და მისი გასაჩივრებისთვის საჭირო ინფორმაცია, კერძოდ, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მოვაჭრის სახელი, მისამართი და განათავსოს ვებგვერდზე.

1.1.6. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურება, ხოლო კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ნაკლის არსებობის შემთხვევაში დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნა:

ა) ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

1.1.7. კანონის მე-13-14 მუხლების შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნა ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე და მომსახურების მიმწოდებელმა უზრუნველყოს ვებგვერდზე/აპლიკაციაში განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია, რომ:

ა) მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულების დადებიდან.
ბ) მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მას არ დაეკისრება არანაირი ხარჯის (მათ შორის, მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა მოვაჭრის მიერ შეთავაზებული სტანდარტული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება აირჩია ან საქონლის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რომელიც დაკავშირებული არ არის საქონლის ბუნების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დადგენასთან. საქონლის ფასის შემცირების შედეგად წარმოშობილი სხვაობის დაფარვის ვალდებულება მომხმარებელს არ დაეკისრება, თუ მოვაჭრემ მას ამ კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ სრული ინფორმაცია არ მიაწოდა.
გ) მომხმარებელი ვალდებულია მოვაჭრეს 14 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს შევსებული დაბრუნების ფორმა ან სხვა ცალსახა მტკიცებულება, რომელიც ასახავს

მომხმარებლის გადაწყვეტილებას საქონლის დაბრუნების შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში მომხმარებელი არ შეავსებს დაბრუნების ფორმას ან სხვა ცალსახა მტკიცებულებას არ წარუდგენს მოვაჭრეს მომხმარებელი კარგავს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ნივთის დაბრუნების უფლებას.

1.1.8. შეიმუშავოს და სავაჭრო პლატფორმაზე განათავსოს შეძენილი საქონლისა ან/და მომსახურების დაბრუნების ფორმა, რომლითაც მომხმარებელს არ უნდა მოსთხოვოს შემდეგ ინფორმაციაზე მეტი:

ა) მოვაჭრის მიერ მითითებული სახელი, ფაქტობრივი მისამართი;
ბ) შეკვეთის თარიღი;
გ) შეკვეთის მიღების თარიღი;
დ) მომხმარებლის სახელი;
ე) მომხმარებლის მისამართი;
ვ) მომხმარებლის ხელმოწერა (თუ ფორმა ქაღალდზეა შევსებული);
ზ) ფორმის შევსების თარიღი.

1.1.9. მომხმარებლ(ებ)ის მოვაჭრისათვის მიმართვიდან **10 სამუშაო დღეში** აღადგინოს იმ მომხმარებელთა კანონით გათვალისწინებული უფლება/უფლებები, რომელთაც მოვაჭრის მიერ, კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად სავარაუდოდ დაერღვათ.

1.2. „ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში -კანონი) მე-4 მუხლის საფუძველზე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების მიმღებისთვის მომსახურების მიმწოდებლის შესახებ სულ მცირე შემდეგი ინფორმაციის მუდმივად და ადვილად ხელმისაწვდომობა:

ა) საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა;

ბ) მისამართი;

გ) ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია;

დ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი;

ე) საქიცენზიო ან/და სანებართვო მოწმობის ნომერი/ლიცენზიის ან/და ნებართვის რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, მისი მოქმედების ვადა და გამცემი ორგანოს დასახელება (არსებობის შემთხვევაში).

2. მომსახურების ღირებულება მკაფიოდ და გასაგებად უნდა იყოს მითითებული და უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას მასში გათვალისწინებული ყველა ხარჯის შესახებ, მათ შორის, მიტანის ღირებულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების თაობაზე.

3. მომსახურების მიმწოდებელი პასუხისმგებელია ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის სიზუსტისა და ხელმისაწვდომობისთვის.

4. თუ მომსახურების მიმწოდებლის იმ საქმიანობისთვის, რომელიც სცდება მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით ინფორმაციის მიწოდების უფრო მაღალი სტანდარტია დადგენილი, ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები მას არ ათავისუფლებს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან.

1.2.1. მომსახურების მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, მომხმარებელს გაუწიოს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურება. ასევე, უზრუნველყოს მოვაჭრის მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული საგარანტიო პირობების დეტალურად ჩამოყალიბება და ვებ-გვერდზე/აპლიკაციაში განთავსება.

ა) მომხმარებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მოვაჭრეს უნდა განუსაზღვროს მომსახურების გაწევის/ნაკლის აღმოფხვრის გონივრული დამატებითი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს. არათანაზომიერი ან შეუსაბამოდ დიდი ხარჯი განისაზღვრება ამ კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.
ბ) დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს:
ა.ა.)მოვაჭრის ხარჯით მომსახურების გაწევა ან ნაკლის აღმოფხვრა სხვა პირს შესთავაზოს;
ბ.ბ.)მოითხოვოს მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება;
გ.გ.) უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გ) წინამდებარე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის განსაზღვრა სავალდებულო არ არის, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება, ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება მომსახურების დროულად მიღებას დაუკავშირა.
დ) თუ მოვაჭრემ დროულად არ დაიწყო მომსახურების გაწევა ან მომსახურების პროცესი უსაფუძვლოდ ჭიანურდება, რაც მომსახურების დათქმულ ვადაში გაწევას შეუძლებელს ხდის, მოვაჭრეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მომსახურების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე გაწეული მომსახურების საზღაური, თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

ა) მომხმარებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელს უნდა განუსაზღვროს მომსახურების გაწევის/ნაკლის აღმოფხვრის გონივრული დამატებითი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს. არათანაზომიერი ან შეუსაბამოდ დიდი ხარჯი განისაზღვრება ამ კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

ბ) დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს:
ა.ა.)მომსახურების მიმწოდებლოის ხარჯით მომსახურების გაწევა ან ნაკლის აღმოფხვრა სხვა პირს შესთავაზოს;
ბ.ბ.)მოითხოვოს მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება;
გ.გ.) უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) წინამდებარე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის განსაზღვრა სავალდებულო არ არის, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება, ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება მომსახურების დროულად მიღებას დაუკავშირა.

დ) თუ მომსახურების მიმწოდებელმა დროულად არ დაიწყო მომსახურების გაწევა ან მომსახურების პროცესი უსაფუძვლოდ ჭიანურდება, რაც მომსახურების დათქმულ ვადაში გაწევას შეუძლებელს ხდის, მოვაჭრეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მომსახურების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე გაწეული მომსახურების საზღაური, თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

1.2.2. „ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ელექტრონული ხელშეკრულების დადებამდე უზრუნველყოს მომსახურების მიმღებისთვის შემდეგი ინფორმაციის მკაფიოდ, სრულყოფილად და გასაგებად მიწოდება:

ა) ხელშეკრულების დადებისთვის საჭირო ყველა ტექნიკური ეტაპის შესახებ;

ბ) ხელშეკრულების ელექტრონული საშუალებებით შენახვისა და მისი ხელმისაწვდომობის პირობების შესახებ;

გ) ხელშეკრულების დადებისთვის ხელმისაწვდომი ენების შესახებ;

დ) შეკვეთის საბოლოოდ განთავსებამდე დაშვებული შეცდომის იდენტიფიცირებისა და გამოსწორების ტექნიკური საშუალებების შესახებ.

2. მხარეებს, კერძოდ, მომსახურების მიმწოდებელსა და მომსახურების მიმღებს, თუ ის არ არის ფიზიკური პირი, რომელიც პირადი მიზნებისთვის, თავისი ბიზნესსაქმიანობის ან სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის მიღმა მოქმედებს , უფლება აქვთ, შეთანხმდნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებით დადგენილისგან განსხვავებულ წესზე.

3. კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება ელექტრონული ფოსტით ან სხვა, მსგავსი, ინდივიდუალური საკომუნიკაციო საშუალებით დადებულ ხელშეკრულებაზე.

4. მომსახურების გამწევმა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებისთვის მიწოდებული ინფორმაციის (მათ შორის, ხელშეკრულების) ელექტრონული ფორმით შენახვის ან/და გამოყენების შესაძლებლობა.

1.2.3. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, თუ მომსახურების მიმღები შეკვეთას ელექტრონული საშუალებებით განათავსებს, მომსახურების მიმწოდებელმა მისი მიღება ასევე ელექტრონული საშუალებებით, დაუყოვნებლივ უნდა დაადასტუროს.

2. შეკვეთა ან შეკვეთის მიღების დადასტურება მიღებულად მიიჩნევა, თუ იგი მიმღები მხარისთვის ფაქტობრივად ხელმისაწვდომია.

3. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია შეკვეთის საბოლოოდ განთავსებამდე უზრუნველყოს მომსახურების მიმღები შესაბამისი, შეცდომის იდენტიფიცირებისა და გამოსწორებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

4. მხარეებს, კერძოდ, მომსახურების მიმწოდებელსა და მომსახურების მიმღებს, თუ ის არ არის ფიზიკური პირი, რომელიც პირადი მიზნებისთვის, თავისი ბიზნესსაქმიანობის ან სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის მიღმა მოქმედებს, უფლება აქვთ, შეთანხმდნენ კანონის მე-9 მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების მოთხოვნებით დადგენილისგან განსხვავებულ წესზე.

5. ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება ელექტრონული ფოსტით ან სხვა, მსგავსი, ინდივიდუალური საკომუნიკაციო საშუალებით დადებულ ხელშეკრულებაზე.

1.2.4. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიწოდება. ამასთანავე, მას აქვს აღნიშნული ინფორმაციის დამატებით სხვა ენებზე მიწოდების უფლება.

2. შეთანხმების შესრულების ვადა

2.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

2.2. მოვაჭრე ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 3 (სამი) თვის ვადაში განახორციელოს ამ შეთანხმების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები და ამ ვადების გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების თაობაზე, შესაბამისი მტკიცებულებებით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 სააგენტო უფლებამოსილია, მოვაჭრეს მოსთხოვოს აღებული პირობითი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება პერიოდულობით.
3.2 სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს მომსახურების მიმწოდებლის მიერ პირობით აღებული ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.
3.3 მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირობით აღებული ვალდებულებების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ამ შეთანხმების **2.2** პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შეთანხმების შეუსრულებლობის შედეგები

4.1 სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა თუ:
ა) მომსახურების მიმწოდებელი ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

4.2. ხელახლა დაიწყებული საქმის შესწავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

5.1. თითოეული მხარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ, ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) შედეგად. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება სააგენტოს ან მოვაჭრის კონტროლის ფარგლებს და შესაბამის მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით, წარმოების სხვა სახის შეფერხებით.

5.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებას ფორს მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან.

5.3 შეთანხმებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე შეთანხმება დადებულია მხარეთა შეთანხმებით და ნებაყოფლობით.

6.2. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მოვაჭრეს, ხოლო მეორე-სააგენტოს.

7. მხარეთა ხელმოწერები

დირექტორი
სოსო ჩხიკვაძე (პ/ნ 01024067925)

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
(ს/ნ 205310938)
თავმჯდომარე, ირაკლი ლექვინაძე